



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030458987142718

№ 04-614/ო

09 / ოქტომბერი / 2018 წ.

**სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 20 ივნისის  
N04-420/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

სოციალურ მუშაკებთან გაფორმებული სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტის, „უფროსი სოციალური მუშაკებისა და სოციალური მუშაკების სამუშაოს აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 20 ივნისის N04-420/ო ბრძანების N2 დანართის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-11 მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14//წ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. „უფროსი სოციალური მუშაკებისა და სოციალური მუშაკების სამუშაოს აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 20 ივნისის N04-420/ო ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფროსი უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება ან/და გასცეს წარმომადგენლობითი დოკუმენტი (მინდობილობა/რწმუნებულება), რომლის საფუძველზე, დაქვემდებარებულ სოციალურ მუშაკს დაევალება სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახელით, სასამართლო წარმომადგენლობა და სასამართლო საქმისწარმოებაში მონაწილეობა.“

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) და დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაცნობა და საჯაროობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემენტარულად

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე

გიორგი ნონკოლაური